

შეტყობინება მეშვიდე

ვიცნობდეთ იეჰოვას, მარადიულ ღმერთს,
მის სასიყვარულო ზრუნვაში, თანაგრძნობებსა და ერთგულებაში

ადგილები წერილიდან: იერ. 2:19; 10:10ა; 11:20; 20:12; გოდ. 3:22-25; 5:19

I. იერებია ხშირად მიმართავდა ღმერთს, როგორც მხედრობის იეჰოვას – იერ. 2:19; 5:14; 6:9; 7:21; 9:7, 15, 17; 11:17; 20:12:

ა. „იეჰოვა არის ჭეშმარიტი ღმერთი; ის არის ცოცხალი ღმერთი და მარადიული მეფე“ – 10:10ა:

1. სახელი „იეჰოვა“ აღნიშნავს „მე ვარ ის, ვინც ვარ“; ეს მიუთითებს იმაზე, რომ იეჰოვა არის მარადიული, რომ ის არის, ვინც იყო წარსულში, ვინც არის აწმუოში და ვინც მარადიულად იქნება მომავალში – გამ. 3:14; გამოცხ. 1:4:
 - ა) იეჰოვა არის თვითარსი და მარადარსი ღმერთი; ის არსებობს მარადიულად, არა აქვს არც დასაწყისი, არც დასასრული – გამ. 3:14.
 - ბ) ტიტული „მე ვარ“ აღნიშნავს მას, ვისი არსებობაც არ არის დამოკიდებული არაფერზე, მის გარდა – იოანე 8:24, 28, 58.
 2. იეჰოვა არის ერთადერთი, ვინც არის, და ჩვენ უნდა ვირწმუნოთ, რომ ის არის – ებრ. 11:6.
 3. როგორც „მე ვარ“, იეჰოვა არის ყოვლისმომცველი; ის არის სინამდვილე ყოველივე დადებითისა და ყველაფრისა, რაც სჭირდება მის ხალხს – იოანე 6:35; 8:12; 10:14; 11:25; 14:6.
 4. იეჰოვას გარდა ყველაფერი დანარჩენი არაფერია; ის არის ერთადერთი ვინც არის, ვისაც აქვს ყოფიერების სინამდვილე – ეფეს. 11:6.
- ბ. „იეჰოვა მხედრობათა, სამართლიანად განმკითხავო, შინაგანისა და გულის გამომკვლევო – იერ. 11:20:
1. ტიტული „იეჰოვა მხედრობათა“ აღნიშნავს, რომ იეჰოვა ღმერთი არის ძლევამოსილი, უფალი ყოველივე ზეციური მხედრობისა, მხედართმთავარი მთელი მხედრობისა – 20:12; 30:8; 48:1; 50:18; 3 მეფ. 22:19.
 2. იეჰოვა მხედრობათა არის დიდების მეფე, ის, ვინც არის ძლიერი და ძევამოსილი; ის არის იეჰოვა მხედრობის – ფსალ. 24:8, 10.
 3. დიდების მეფე, იეჰოვა მხედრობათა, არის დასრულებული სამერთიანი ღმერთი, განკაცებული ძლევამოსილ და მომავალ ქრისტეში.
 4. განკაცებული, ჯვარცმული და აღმდგარი ქრისტე, დიდების მეფე მოდის, რომ მოიპოვოს დედამიწა და დაიკავოს ის როგორც თავისი სამეფო:
 - ა) იეჰოვა მხედრობათა წყვეტს ომებს დედამიწის კიდემდე; ის იქნება ამაღლებული ხალხებს შორის, და ის იქნება ამაღლებული დედამიწაზე – 46:9-10.

- ბ) მხედრობათა იქოვას აქვს ხელმწიფება, რომ მართოს ყველა ტომი, და მის ხელს აქვს ძალაუფლება, რომ მოაშოროს მეფეები და დაადგინოს მეფეები – დან. 2:21.
5. იმ დროს, როდესაც სამღვდელოება დაეცა, ღმერთმა გახსნა თავისი სახელი როგორც „იქოვა მხედრობათა“, და ამის მეშვებით გაგაგებინა, რომ, როდესაც მისი მმართველობა იყო ასეთი დაცემის მდგომარეობაში, ის აპირებდა გამოსულიყო და ემართა მთელი კითარება, რათა დაედგინა თავისი სამეფოს მეფობა – 1 მეფ. 1:3.
- II. შენ კი, საუკუნოდ ხარ, იქოვა, შენი ტახტი თაობიდან თაობამდეა – გოდ. 5:19:
- ა. მე-19 მუხლში იერემიამ შეცვალა თავისი მიდგომა და თვალსაზრისი და დაიწყო ყველაფრის ყურება არა თავისი თვალებით, არამედ ღმერთის თვალებით, ლაპარაკი ღმერთის მარადიულ არსებაზე და მის უცვლელ მმართველობაზე.
 - ბ. იერუსალიმი იყო დამხობილი, ტაძარი დამწვარი, ხოლო ღმერთის ხალხი ტყვედ წაყვანილი, მაგრამ იქოვა, სამყაროს უფალი, რჩება და აგრძელებს თავისი მმართველობის განხორციელებას.
 - გ. გამოთქმა „შენ კი, საუკუნოდ ხარ იქოვა“ მიუთითებს იმაზე, რომ ღმერთი არის მარადიული და რომ მასში არ არის ცვლილებები – მუხ. 19:
 1. ღმერთი რჩება უცვლელი, ის არ ექვემდებარება არავითარ ცვლილებებს არავითარ პირობებსა და კითარებებში – ფსალ. 90:2; რომ. 16:25-26.
 2. ადამიანურ სფეროში ხდება ყოველგვარი ცვლილებები, მაგრამ მარადიული არსება ღმერთისა არ იცვლება; ის ყოველთვის რჩება იგივე.
 3. აბრაამმა „მოუხმო... იქოვას, მარადიული ღმერთის სახელს“ – დაბ. 21:33:
 - ა) ტიტული „მარადიული ღმერთი“ ებრაულად არის „ელ-ოლაზ“; სიტყვა „ელ“ აღნიშნავს „ძლევამოსილს“, ხოლო სიტყვა „ოლამ“ აღნიშნავს „მარადიულს“ ანუ „მარადისობას“ და წარმოიქმნა ებრაული ფესვიდან, რომელიც აღნიშნავს „დაფარვას“ ან „დამალვას“.
 - ბ) ღვთაებრივი ტიტული „ელ-ოლაზ“ გულისხმობს მარადიულ სიცოცხლეს – შდრ. ოოანე 1:1, 4.
 - გ) იქოვას, მარადიული ძლევამოსილი ღმერთის მოხმობით, აბრაამი განიცდიდა მარადიულად ცოცხალ, დაფარულ, საიდუმლო ღმერთს, რომელიც არის მარადიული სიცოცხლე.
 - დ. გამოთქმა „შენი ტახტი თაობიდან თაობამდეა“ მიუთითებს ღმერთის მარადიულ და უცვლელ მმართველობაზე – გოდ. 5:19; ფსალ. 45:6; 93:2; გამოცხ. 4:2-3:
 1. ღმერთის ტახტს არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული; მისი ტახტი არსებობს თაობიდან თაობამდე.

2. ის, რაც იერემიამ დაწერა იერემიას გოდების ბოლოს ღმერთის მარადიულ არსებაზე და მის უცვლელ მმართველობაზე, ეჭვარეშეა, რომ არის ღვთაებრივი:
- ა) იერემიას სიტყვა ღმერთის მარადიულ არსებაზე და მის ტახტზე არის ნათელი ნიშანი, რომ იერემიას გოდების დაწერისას იერემია შეეხო ღმერთის სახლმშენებლობას.
 - ბ) ის გამოვიდა თავისი ადამიანური გრძნობების სფეროდან, შეეხო ღმერთის პიროვნებას და ღმერთის ტახტს და შევიდა ღმერთის ღვთაებრიობაში.
- ქ. ახალ იერუსალიმში ღმერთი იქნება მთლიანად გახსნილი თავის პიროვნებაში როგორც მარადიული მეფე და თავის მმართველობაში როგორც თავის მარადიულ, შეურყეველ სამეფოში; ერთიც და მეორეც არის ურყევი საფუძველი მისი სამუშაოსი მის ადამიანებზე – ებრ. 12:28; გამოცხ. 22:3.
- III. ეს არის სასიყვარულო ზრუნვა იგჰოვასი, რომ ჩვენ არა ვართ განადგურებულნი, ვინაიდან მისი თანაგრძნობა არ დასრულებულა; განახლდება ყოველ დილით; დიდია შენი ერთგულება“ – გოდება 3:22-23.**
- ა. იგჰოვა გამოეცხადა იერემიას, და უთხრა: „მე მიგინიდავ სასიყვარულო ზრუნვით – იერ. 31:3:
1. იგჰოვას სასიყვარულო ზრუნვა არის ძვირფასი, მარადიული და ზეცაზე მაღალი, და მას მივყავართ ქრისტესთან როგორც ქვაკუთხედთან ღმერთის ნაგებობისათვის – ფსალ. 36:7, 9-10; 108:4; 118:1-4, 22-29; 136:1, 26.
 2. 103-ე ფსალმუნში საუბარია ღმერთის ისტორიაზე მის სასიყვარულო ზრუნვაში და თანაგრძნობებზე იმაში, თუ როგორ პატიობს თავის ხალხს ცოდვებს, კურნავს მათ, გამოისყიდის მათ და ზრუნავს მათზე.
 3. მეფესალმუნებ უთხრა იგჰოვას: „მე კი შენი სასიყვარულო ზრუნვის სიუხვეში შემოვალ შენს სახლში“ – 5:7:
 - ა) ნებისმიერი, ვისაც ჰქონდა პრივილეგია, რომ შესულიყო ტაძარში სიონის მთაზე, უნდა ყოფილიყო ღმერთის სასიყვარულო ზრუნვის ქვეშ.
 - ბ) სინამდვილეში თვითონ შესვლა ტაძარში წარმოადგენდა ტკბობას ღმერთის სასიყვარულო ზრუნვის სიუხვით.
 - გ) ფიქრები იგჰოვას სასიყვარულო ზრუნვაზე მის ტაძარში მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ვეხებით მის სასიყვარულო ზრუნვას ეკლესიაში.
 4. ფსალმუნი 101 გვიხსნის იმას, თუ როგორ იმეფებს ქრისტე დედამიწაზე სასიყვარულო ზრუნვითა და სამართლიანობით.
- ბ. ისრაელის ხალხმა განიცადა მარცხი, მაგრამ ღმერთის თანაგრძნობებმა შეინახა ისრაელის ნატამალი ღმერთის სახლმშენებლობის განსახორციელებლად – გოდ. 3:22-23:

1. თანაგრძნობა არის უფრო დრმა, დახვეწილი და მდიდარი ვიდრე წყალობა – რომ 9:15; ფსალ. 103:8.
2. თანაგრძნობა მიუთითებს დმერთის შინაგან ნაზ გრძნობაზე, რომელიც იწყება მის სიყვარულით სავსე არსებაში – 2 კორ. 1:3; იაკ. 5:11; ლუკა 6:36.
3. ქრისტე მოვიდა დედამიწაზე ღმერთის მოწყალე თანაგრძნობების გამო – 1:78.
4. იქჰოვას თანაგრძნობა „ყოველ დილით... ახალია“ – გოდ. 3:23:
 - ა) 23ა მუხლიდან გამომდინარეობს, რომ იერემია შეეხო უფალს, როგორც მას, ვინც სავსეა თანაგრძნობით ყოველ დილით.
 - ბ) თავისი შეხების წყალობით უფალთან მან მიიღო სიტყვა ღმერთის სასიყვარულო ზრუნვაზე, თანაგრძნობებსა და ერთგულებაზე.
- გ. იერემიამ უთხრა იქჰოვას: „დიდია შენი ერთგულება“ – მუხ. 23ბ:
 1. ღმერთის თანაგრძნობები არ მთავრდება, რადგან ის ერთგული ღმერთია – ფსალ. 57:10.
 2. ღმერთი არის ერთგული თავისი სიტყვის; მას არ შეუძლია უარი თქვას თავის თავზე; მას არ შეუძლია უარი თქვას თავის ბუნებაზე და თავის არსებაზე – 2 ტიმ. 2:13.
 3. თავის ერთგულებაში ღმერთმა მოგვიწოდა ჩვენ თავისი ძის ურთიერთობაში, და ის შეგვინახავს ჩვენ თავის ერთგულებაში მონაწილეობასა და ტკბობაში – 1 კორ. 1:9.
 4. ერთგული ღმერთი, რომელმაც მოგვიწოდა ჩვენ, ასევე გაგვაწმიდანებს ჩვენ მთლიანად და შეინახავს მთელ ჩვენს არსებას მთლიანობაში – 1 ტეს. 5:23-24.

IV. „იქჰოვა არის ჩემი ხვედრი“ – ამბობს ჩემი სამშვინველი, ამიტომ მე დაიმედებული ვარ მასზე“ – გოდ. 3:24:

- ა. იერემიას სიტყვას იმასთან დაკავშირებით, რომ იქჰოვა არის ჩვენი ხვედრი და რომ ჩვენ დაიმედებული ვართ მასზე, აქვს ახალი აღთქმისეული არომატი – კოლ. 1:12, 27:
 1. იერემია ტკბებოდა იქჰოვათი, როგორც თავისი ხვედრით, და ის დაიმედებული იყო არა თავის თავზე და არა რაღაც სხვაზე, არამედ მხოლოდ იქჰოვაზე – გოდ. 3:24:
 - ა) ერთი მხრივ, იერემია აცნობიერებდა, რომ ღმერთი არის სასიყვარულო ზრუნვის ღმერთი, რომ ის არის თანამგრძნობი და რომ მისი სიტყვა არის ერთგული.
 - ბ) მეორე მხრივ, იერემია აცნობიერებდა, რომ ჩვენთვის მაინც აუცილებელია, რომ შევეხოთ უფალს ყოველ დილით, დაიმედებული ვიყოთ მხოლოდ მასზე, დაველოდოთ მას და მოვუხმოთ მის სახელს – მუხ. 23-25, 55.
 2. როდესაც მეფსალმუნე შევიდა ღმერთის წმიდა ადგილას და მიიღო დვთაებრივი ხედვა და აღთქმა თავის სიტუაციასთან დაკავშირებით,

მას შეეძლო ეთქვა, რომ ღმერთი არის მისი ხვედრი მარადიულად – ფსალ. 73:17, 26:

- ა) ღმერთის წმიდა ადგილას მეფსალმუნებმ მიიღო დარიგება, რომ მიეღო მხოლოდ თვით ღმერთი როგორც თავისი ხვედრი და არ მიეღო არაფერი, ღმერთის გარდა – მუხ. 26.
- ბ) ღმერთის განზრახვა თავის მძებნელებთან დაკავშირებით არის ის, რომ ისინი პოულობდნენ მასში ყველაფერს და მათ არ გადაიტანონ ყურადღება სხვა რამეზე თვით ღმერთით ამსოლუტური ტკბობიდან.
- ბ. „იგჰოვა არის კეთილი მისი მომლოდინებისათვის, სამშვინველისათვის, რომელიც ეძებს მას“ – გოდ. 3:25:
 - 1. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი არის ჭეშმარიტი, ცოცხალი, თანამგრძნები და ერთგული, იმისათვის, რომ გამოცადოს თავისი ადამიანები, ის ხშირად აყოვნებს თავისი სიტყვის შესრულებას – ფსალ. 27:14; 130:6; ესაია 8:17; 30:18; 64:4.
 - 2. ველოდოთ მარადიულ ღმერთს – ნიშნავს ბოლო მოვუდოთ ჩვენს თავებს; ანუ გავჩერდეთ ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს ქმედებებში და ჩვენს საქმიანობაში, და მივიღოთ ღმერთი ქრისტეში როგორც ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი პიროვნება და ჩვენი შეცვლა – 40:28, 31:
 - ა) ჩვენ უნდა ვისწავლოთ უფლის მოლოდინის გაპვეთილი – 30:18.
 - ბ) დღეს ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო საბოლოო დასრულებისა; ამიტომ ჩვენ უნდა ველოდოთ უფალს – 64:4.
 - 3. მასთან ერთად, რაც ჩვენ ველოდებით უფალს, ჩვენ უნდა ვეძებოთ ის და მოვუხმოთ მას:
 - ა) „ძებნას დამიწყებთ და მიპოვით, თუ მთელი გულით მომძებნით“ – იერ. 29:13.
 - ბ) „მომიხმე და გიპასუხებ, და გაუწყებ დიდსა და მიუწვდომელს, რაც არ იცი შენ“ – იერ. 33:3.